


# სოციალ-დემოკრატი

ორბანო ქავთასის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების

№ 3 1 (14) ივნისი 1905 წ. № 3



## რევოლიუცია დაიწყო!

რევოლიუცია დაიწყო, რუსეთი ცხრა ინვერსიის შემდეგ რევოლიუციის ხანაში იმყოფება, ამობობენ ერთნი;

რევოლიუცია ჯერ არ დაწყებულა, ის რაც ეყო რევოლიუციის წინამორბედი, ამობობენ მეორენი.

პირველთა აზრით, რუსეთის რევოლიუცია გრძელად პროცესია, როგორც შეიძლება რამოდენიმე წელსაც გასტანოს, მეორეთა აზრით კი ის არის უტყებ, ერთბაშით ამოხეთქა, რამოდენიმე საათში ან დღეში ძველი წესის დარღვევა და განადგურება.

ამ ორი სხვადასხვანაირი შეხედულებისაგან მომდინარეობს ორი სხვადასხვანაირი ტაქტიკა. პირველნი ცდილობენ დაწყებული რევოლიუცია ყოველ დღიურად რევოლიუციური მოქმედებით, მუდმივი რევოლიუციური აქტით კიდევ უფრო წინ წაისწიონ, განავითარონ და სახალხო აჯანყებით გადააქციონ. მეორენი კი რჩებიან ჩუმად და წყნარად მოემზადონ, ძალ-ღონე ყოველდღიურ მოქმედებაში არ „დაახურდეთ“ და იცადონ იმ დღე-ღამის, როცა შემთხვევა მიეცემათ უფრო აჯანყდნენ და არსებული წყობილება წალკონ.

რომელი შეხედულება და რომელი ტაქტიკაა მართალი? ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ, რა არის რევოლიუცია.

რევოლიუციის მიზანი პოლიტიკური და იურიდიული წყობილების ცოტათი თუ ბევრად სწრაფი ცვლილება, რაც ეკონომიური განვითარებით არის გამოწვეული. მაგრამ ყველა ასეთი ცვლილება კდევ არ ნიშნავს რევოლიუციას. კაცის აზრით, თუ ამ ცვლილებას ახდენს თვით გაბატონებული კლასი და მთავრობა, ეს იქნება რეფორმა და არა რევოლიუცია, ხოლო თუ მას ახდენს დამორჩილებული, უფლება-მოკლებული კლასი თუ კლასები—ეს უმტკველათ რევოლიუციაა. მაშასადამე, რევოლიუცია არის სახელმწიფო მართებლობის ოპოზიციური კლასების მიერ დაპყრობა, მათი ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში ჩადგომა. ამ დაპყრო-

ბის მსვლელობასთან მჭიდროდ შეკავშირებულია რევოლიუციის მსვლელობა. თუ დასაპყრობელი ძალა დიდია, თუ მტერი ძლიერი და ფეხგადგმულია, დაპყრობაც დიდ ძალას და ენერჯიას მოითხოვს. რამდენათ დაბლა დგას ოპოზიციური კლასები, რამდენათ ისინი მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, იმდენათ იმათი მაღლა აწევა და უფლებების დაპყრობა ძნელი და მძიმეა. გუშინდელი ვიგინდარას დღეს კანონმდებლად გადაქცევა ღრმა საზოგადოებრივ ცვლილებას ნიშნავს. და აი, როცა მთავრობის დატყობა მოასწავებს მთელი საზოგადოე წყობილების ძირიანათ შენძრევას, მისი აგებულების ერთიანათ განახლებას, უხადია, ის მეტათ მწვავე და ხანგრძლივი პროცესი უნდა იყოს. და პირიქით, თუ ცვლილება წარმოებს საზოგადოების მხოლოდ მაღალ წრეებში, თუ ოპოზიციურია მარტო ზოგიერთი კლასი, რომლის დაკმაყოფილება ადვილია, მაშინ რევოლიუცია სწრაფი და მსუბუქათ ასატანია. მაგ., საფრანგეთის პირველი რევოლიუცია გავრძელდა ხუთ წელიწადს, მესამე წოდების დეპუტატთა საერო კრებათ გამოცხადებიდან რომენსერის დატყობამდე; ხოლო მეორე (1830 წ.) და მესამე რევოლიუცია (1848 წ.) გავრძელდა თითო-ორი დღეს. რატომ? იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაში დასანგრევი იყო დიდი უზარმაზარი ხელმწიფო შენობა, თვითმპყრობელობა, რომელიც მძიმე უღლათ აწევა ერის ცხრა მეთედს. ამათი ამ მოწოდისაგან განთავისუფლება და მოქალაქეთ გადაქცევა მოითხოვდა ხანგრძლივ სამოქალაქო ომს. მეორე და მესამე შემთხვევაში საჭირო იყო არა პოლიტიკური წყობილების ძირბულიანათ გადასხვაფერება, არამედ მისი გაფართოება, გაგანიერება და შიგ მთელი ერის შეტყნა. 1848 წ. თებერვლის რევოლიუციის მიზანი იყო საარჩევნო უფლების რეფორმა, ცენზის მოშლა და საყოველთაო კენჭის ყრის შემოღება. მართალია, გერმანიაში 1848 წ. რევოლიუცია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რამოდენიმე დღეში გათავდა, მაგრამ სამაგიეროთ, ის არ ყოფილა ძირითადი, მან ვერ გასტება გაბატო-

ნებული კლასები და მთავრობა; მან მხოლოდ ძველ წესს ახალი მიუმატა, წარსული აწმყოს მოაბრჯა და ასე წარმოშვა ნახევრათ ფეოდალური, ნახევრათ კონსტიტუციონალური წყობილება, რაც დღემდის გრძელდება.

ამნაირათ, პოლიტიკური წყობილების ძირიანათ დანგრევა, მართვა-გამგეობის თვით პრინციპის გამოცვლა და სრულიად ახალი პოლიტიკური შენობის აგება აუცილებლათ დიდ შეტაკებას, გრძელ სამოქალაქო ომს მოითხოვს. ასეთი ცვლილება ვერ მოხდება და არც არასოდეს მომხდარა ერთი დავით, ერთი აჯანყებით, რამოდენიმე დღის რევოლუციით. საქორაო რევოლუცია მუდმივი, შეუწყრებელი, რომ რეაქცია სამუდამით გატყდეს და ასპარეზოდან გაქრეს.

ახლა მოვიმარჯვოთ ეს თვალთა ხედვის ისარი და გადავხედოთ რუსეთის მდგომარეობას. აქ თავთმყარებლობამ დაიბონა თითქმის მთელი ერთი, დაიბერა მთელი ხალხი. მის ხელშია ძლიერი ბიუროკრატია, ძლიერი მხედრობა და ისტორიული ტრადიცია. მისი ადგილიდან გადავადგება ნიშნავს, არა უფლების გაფართოებას, არა წყობილების შეკეთებას, არამედ სრულიად ახალი უფლების დამყარებას, ახალი პოლიტიკური პრინციპის გაბატონებას, ახალი სახელმწიფო საძირკვლის ჩაყარას. „ხალხს, რომელიც, მხოხედავთ მაღალ წარგებში პოლიტიკური მოძრაობისა და შინაგანი თანდათანო ცვლილებისა, ცხოვრობდა და ეწყობოდა მონურ წესს, არ შეუძლოა ერთ დღეს გახდეს თავისუფალი; ის რომ თავისუფალი შეიქმნეს, საქორაო რევოლუციურ ქვაბში იხარშოს და გადაიხარშოს“, ამბობს „ისკრა“. მაშასადამე რუსეთის საუკუნოებით დამონაგებული და პატეახილი ხალხი თავისუფალი რომ გახდეს, რევოლუცია დიდ ხანს უნდა აწარმოოს, რომ მით ამ პრაცესში, ამ შეჯახ შემოჯახებაში, დამარცხება-გამარჯვებაში მან ერთიანთ მოძიარს ძველი მონური ქვერცხ და ბრძოლით შევიდეს თავისუფლების საფიფოში.

რუსეთის ძირითადი რევოლუცია უნდა იყოს ხანგრძლივი სამოქალაქო ომი.

სიოდან იწყება ეს ომი და სად თავდება? ყველამ იცის, რომ რუსეთში დიდი ხანია თავისუფლების აზრებს ქადაგებდენ და მას მრავალი თვისაც სწორადდენ. უკანასკნელ დროს ეს იდეური მოძრაობა მოედვა მთელ საზოგადოებას და დიწყის თავისუფლების აწკრათ მოითხოვნა. დაიწერა მრავალი რუსოლოციები, წარმოითქვა მრავალი პოლიტიკური სიტყვები და სხ. მაგრამ არც ერთი ეს რევოლუციის დასაწყისი არ ყოფილა. რატომ? იმიტომ რომ ყველა ეს იყო სიტყვა, აზრის გამო-

თქმა, რევოლუცია კი პირველ ყოვლისა საქმე პოლიტიკური აქტია. მხოლოდ იმადლინდამკადღისაც დამორჩილებული კლასი თუ კლასში უფლების დაპყრობისათვის დაინძრევიან, იწყება რევოლუცია. და აი, ეს რუსეთში პირველათ პეტერბურგში მოხდა ცხრა იანვარს. 300 ათასი მუში ქუჩაზე გამოსვლა და პოლიტიკური უფლებებში მოთხოვნა—ეს პირველი დიდი ნაბიჯია სახელმწიფოს დაპყრობისათვის გადადგმული. შემოდარა იანვრს, ვითომ ეს უბრალო თხოვნა იყოს და მეტ არაფერი; თხოვნა იქნებოდა მაშინ, რომ მუშებს თავისი პეტრია მთავრობისათვის ფოჩით ან ღეპუტაციის ხელით გაეგზავნათ, თვითონ კი შინ დარჩენილიყუნენ, როგორც ამას ლიბერალები შერებენ. მაგრამ როცა ამდენი ხალხი თავის პეტრია, თვითონ მიყვება, ეს თხოვნა კი არა—ბრძანებია. ამ ძლიერი კარგათ მიხვდა მთავრობა და ამიტომ მათ თოვე-ხარბუნით შეხვდა. ის კივდენ არ იქნებოდ რევოლუციის დასაწყისი იმ შემთხვევაში, რომ მაშემდეგ მოძრაობა შეწყვეტილიყო და ასე ეს ნაუკბათეფ უნიადავო მოვლენათ გამოცხადებულოყო, მაგრამ ნამდვილათ კი სწორეთ 9 იანვრიდან იწყება მედგარი რევოლუციური მოძრაობა მთელ რუსეთში. საკმარისია გავიხსენოთ უფვადავი რევოლუციური გაფიცვები, მრავალი დემონსტრაციები და შეტაკებები, ვარშავის ბარაკადები და სხ. თვით პეტერბურგში ასი-ათას პროლეტარის 400 დებუტატმა შიდაოვსკის კომისიას განცხადება მისცეს სადაც ისინი თავის თავს სოციალდემოკრატათ აღარებენ და პოლიტიკურ უფლებებებს თხოულობენ ერთი სიტყვით, ცხრა იანვრიდან იწყება შეუწყრებელი, მუდმივი რევოლუციური მღელვარება. ადლიდან ლოდიკურათ ვითარდება ორი მიმართულება: მიმართულება მთავრობის—რევოლუცია აღადგომის ძალით და ცოტათი დამთმობი; და მიმართულება პროლეტარიატის—შუა გზაზე არ გაჩერდეს და დაწყებული რევოლუცია ბოლომდის მიიყვანოს. ამ ორი ლტოლვილების შეჯახ-შემოჯახებია, მათი დაუტყრომელი ბრძოლა ნიშნობლივი თვისებაა დღივანდელი დღის.

სად თავდება რევოლუცია? დამფუძნებელი კრების მოწვივა? სრულიადაც არა, საფრანგეთის დიდი რევოლუცია კონვენტის მოწვივით არ გათავებულა. პირქით მან მაშინ მიადწია თავის უმაღლეს წერტილს. საერო კრება, დროებითი მთავრობა, დამფუძნებელი კრება და სხ. მხოლოთ იარაღებია რევოლუციის, ე. ი. უფლებებო კლასების მიერ პოლიტიკური უფლების დაპყრობის, მაშასადამე, რევოლუცია გათავდება მაშინ, როცა ისინი ამ უფლებას ერთიანთ დაიპყრობენ, როცა სახელმწი-



ფოს სათავეში ტახტის მადგიერ ხალხი ჩადგება. ამის წინდაწინ დროით განსაზღვრა შეუძლებელია. შეიძლება ითქვას ის, რომ ეს დრო გრძელი იქნება, რევოლიუცია მრავალნაირ ფორმას მიიღებს, სახელმწიფო ძალა სხვადასხვა კლასის ხელში გადავაგადმოვა, მის ხან რეაქცია დაიბრუნებს, ხან რევოლიუცია დაეპატრონება და ასე სამოქალაქო ომი იწარმოებს მანამდის, სანამ რეაქცია საბოლოოთ არ გოტყდება და დემოკრატია არ გაიმარჯვებს.

ღიახ, რევოლიუცია დაიწყო, მის მორგეში უკვე შევეტოპეთ, მისი ტალღები უფრო და უფრო მედგრათ ჩებთქება რეაქციის კედლებს, უფრო და უფრო თან ითრეფს ახალ-ახალ რაზმებს და შორს არ არის ის დრო, როცა ის საერთო აჯანყებათ გადაიქცევა და საბოლოოთ გაიმარჯვებს. სოციალდემოკრატიის მოვალეობა ეს მიმდინარეობა დააჩქაროს, აჯანყებისთვის მოემზადოს და მით რევოლიუციის მსვლელობას უწინამძღვროს.

### აჯანყებაჲ

ყველა რევოლიუციას თან ახლავს აჯანყება, ყველა აჯანყებას კი თან არ ახლავს რევოლიუცია. მხოლოდ ის აჯანყება რევოლიუციური, რომელიც მიმართულია დამორჩილებული კლასების მიერ სახელმწიფო ძალის დაპყრობისაკენ. გურიის აჯანყება 1841 წელს არ იყო რევოლიუციური. გურიის აჯანყება ახლა რევოლიუციურია, ვინაიდან მისი მიზანია პოლიტიკური უფლების მოპოვება. რევოლიუციის ნიშნობლივი თვისება აი ეს უკანასკნელია და არა აჯანყება. ამიტომაც ყველა რევოლიუცია აჯანყებით არ იწყება. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია დაიწყო იმ დღიდან, რა დღესაც მესამე წოდების დებუტატებმა თავის თავი საერო კრებათ გამოაცხადეს და სახელმწიფო წყობილების შემუშავებას შეუდგნენ. ეს იყო სახელმწიფოს მეთაურათ აღიარება ხალხის და არა ტახტის. ეს უმაღლესათ რევოლიუციური აქტი მიხდა სრულიად აუჯანყებლათ და რომ რეაქცია დამორჩილებიდა, უგვევლია, დიდი რევოლიუცია უსისხლოთ გათავდებოდა. მაგრამ ნამდვილათ ასე არასოდეს არ წარმოებს. გაბატონებული კლასები ასეთ ცვლილებას მუდამ ებრძვიან და რევოლიუციის მომხრეთ აძილვებენ, იარალი ხელში ილიან და ნებით უარყოფილი თავისუფლება ძალით გაატარონ. საფრანგეთის საერო კრების განჩინება უარყო მთავრობამ, მთავრობის გასატყვობა ძალია შეიქნა საჭირო. და კიდევაც დაიწყო მთელი რიგი აჯანყებისა. 1830 წ. რევოლიუცია, რომელმაც მოგვცა შეძლებული ბურჟუაზიის ბატონობა, დაიწყო პირდაპირ აჯანყებით. ხოლო

1848 წ. თებერვლის რევოლიუცია, რომელმაც გააბატონა დემოკრატია, დაიწყო დემონსტრაციით და გათავდა აჯანყებით.

რევოლიუციურ აჯანყებაში ორი მომენტია: მომენტი პოლიტიკური და ტენიკური, ე. ი. სურვილი პოლიტიკური უფლებების დაპყრობისა და საშუალებები მისი განხორციელებისა. თავის თავით ცხადია, რომ თუ ხალხს რევოლიუცია არ სურს თუ აქეთვენ არ მიილტვის, ხელში თოფს არ იიღებს და აჯანყებას არ დაიწყებს. და პირიქით, თუ ის რევოლიუციონერია, თუ მის პოლიტიკური უფლებების წყურვილი ძვალ-რბილში გამჯდარი აქვს, მაშინ ის საომრათ ქუჩაზე გამოდის, თუნდაც ხელში იარალი არ ქონდეს. ყველა რევოლიუციაში აჯანყებული ხალხი თვით ბრძოლის ველზე შოულობდა იარალს. მაშასადამე, აჯანყების მთავარი მომენტი პოლიტიკური აგიტაცია და უმთავრესი ყურადღებაც ამას უნდა მიექცეს. რევოლიუციის ხანაში, გარდა სიტყვით და ბეჭდვითი აგიტაციისა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თვით რევოლიუციურ საქმეთ, ხშირ მიტინგებს, გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მთავრობის აფენტებთან ხშირ შეტაკებებს, თანდარმპოლიციულებზე ნაწილ-ნაწილ თავს დასხმას—ერთი სიტყვით, შეუწყურებელ რევოლიუციურ მოქმედებას. ამ ბრძოლაში და შეჯახებში შემოჯახებში ხალხი ვარჯიშდება, მისი რევოლიუციური ენერჯია ღვივდება, თავის დაცვას და მტერზე იერიშის მიტანას ეჩვევა, ის უფრო და უფრო ბრძოლის ხალისზე მოდის და იწყება იმ ნელი ტალღების ავარება, რომელიც მომავალი აჯანყების წინამორბედი. ამ ტალღების ღელვა წვდება თვით ხალხის სიღრმეს, ანძრევს უძრავ ელემენტებსაც, აღწევს ხალხის უდაბლეს საფეხურსაც და ასე მთელ ხალხს თანდათან აღელვებს და აზომოქრება. მაშინ შორს აღარ არის ის დრო, როცა ის აღფრთოვანებული ქუჩაზე იგრილობს: იარალი, ბარაკადები!

რაკი ხალხი ქუჩაზე საბრძოლველათ გამოვიდა, იქ საქმის გადაწყვეტება ფიზიკური ძალა, ძლიერი იმარჯვებს, სუსტი მარცხდება. ეს არის აჯანყების ტენიკური მხარე. აჯანყებულისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა იარალი, თოფი, მოშმა, რევოლვერი და სხ. სად არის ეს? თავის თავით ცხადია, რომ მთელი აჯანყებული ხალხის წინდაწინ შეიარაღება ყოვლად შეუძლებელია, ამას ვერავითარი ორგანიზაცია ვერ შესძლებს და ეს არც საჭიროა. ზევით ვთქვით, რომ აჯანყებულნი იარალს ბრძოლის ველზე შოულობენ, ის ძარცვავს არსენალს, ყაზარებს, კერძო საწყობებს და მაღაზიებს—ყველაფერს, სადაც კი იარალი აწყვია. ამ დროს იარალის შიმშილობაა, იარალისათვის არას ზოგავენ, თავს სწი-

რავენ, საჩრო-საბადებელს აძლევენ. მაგრამ ამ იარაღის საშოგნელათაც იარაღია საჭირო: არსენალის გატეხა უიარაღო კაცს არ შეუძლია, თუ, რასაკვირვლია, საღდათები რევოლუციონერთ არ ემხრობიან. და აი, ამას ტვირთულობს წინდაწინ შეიარაღებული რაზმები, ისინი წინ უძღვებიან უიარაღო ხალხს და იარაღს შოულობენ. ასეთი რაზმების შეიარაღება, შეიარაღება და გაწოთვნა ორგანიზაციის საქმეა. ეს იქნება აჯანყების ტენეაციურათ მოწყობა და ამ მხრით უნდა იქმნეს ამჟამათ ჩვენი ყურადღება მიქრობილი.

შეიარაღებაზე არა ნაკლებ საყურადღებოა ბრძოლის სტრატეგიული მხარე, რაცა დიდათ განსხვავდება საგარეო ომების სტრატეგიისაგან. პირველ ყოვლისა, აჯანყების ანბანია პარტიზანული ბრძოლა, რევოლუციონერნი აჯანყ-აჯანყათ უციბ, მოულოდნელათ თავს ისხმიან მტერთ და ასი მათ დღვიენ და დისციპლინას უნგრვიენ. ასეთი ომის წყაიანად იღილია სოფლათ, სადაც აჯანყებულთ შიძლიათ თავი შიათრონ რყის, მთას, ვამოქიანბულის და იქილან აწუქონ დაბნახეობლი აჯანყები. სოლ სხვა ქალაქი, აქ არც რყია და არც მთა, აქ ქაჩანა და ვინც ქაჩანს პარტიზანობს ის პარტიზანობს ქალაქისა, ამიტომ აჯანყებაც ქაჩანზე წარმოიბს. ყვილა რევოლუციია ქაჩანის ომია, რის ბილიც სწავიბს თვით რევოლუციის ბედსაც. ამიტომ ამ კითხვას ჩვენ უფრო ვრცლათ შეივებთ.

„ავილოლ რევოლუციათა გამარჯვების საიდუმლოებია მდომარეობა არა აჯანყებულთა საღდათებში უკით შიარაღებაში, არამედ მხოლოდ იმაში, რომ რევოლუციონერებს ერთი მხრით, თანაუგრძნობლენ მცხოვრებლები, მეორე მხრით მათ შიძლიათ მდგარი წინააღმდეგობა გაეწიათ აჯანყების იმ აუცილებელ პსიხოლოგიურ მომენტამდის, რაცა აჯანყებულთ მტრულ ატმოსფერაში მყოფი, იწყებს რყევას და დისციპლინისაგან განთავისუფლებს. ქაჩანზე გაძლებმა რაც შეიძლება დიდხანს, აი შიარაღებაც ყოველგვარი თავდასხმის ტენეაციურ მიზანი“. (ჩისკრა“ № 87).

მაშასადამე, ქაჩანს ბრძოლის აუცილებელი პირობაა მცხოვრებთა თანაგრძნობა და დიდხანს გაძლება. პირველი შედეგია პოლიტიკური მომენტის, მეორე კი ტენეაციურის. თუ რევოლუციია საეროა, ე. ი. მის გამარჯვებაში დინტერესებულია მცხოვრებთა დიდაუმრავლესობა, აშკარაა, მათი თანაგრძნობა რევოლუციის მებრძოლთაგან არის და ყოველნიართ მათ ემხრობიან. ყველა ბურჟუაზიულ რევოლუციამ გაიმარჯვა, რადგანაც ამისთვის უკვე მომწიფებული იყო საზოგადოება და, მაშასადამე, მასში დინტერესებული იყო უმრავლესობა. საშვიგროთ

სათრანგეთის მუშათა ორივე რევოლუციია (1848 წ. იენისში და 1870—71 წ.) დამარცხდეს ვადგანაც მასში დინტერესებული არ იყოს უმრავლესობა და მას ის მტრულათ უტყროდა. რუსეთი ამ მხრით კარგს პირობებშია, დღევანდელ მის რევოლუციის დიდი უმრავლესობა თანაუგრძნობს და რევოლუციონერთ დახმარებას არ მოაკლებენ, რაც შეიხება ქაჩანზე გაძლებას, ეს დამოკიდებულია საფარის, ბარიკადების სიმარჯვზე. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი სპეციალისტი:


„ძლიერი საფარი რომ გაეუდღეს, ამისთვის საჭიროა მოპირდაპირის კარგათ შესწავლა, საჭიროა პირდაპირ შეეკეროდეს სინამდვილეს თვალეში და მოწინააღმდეგე მიიჩნიო იმათ, რაც ნამდვილათ არის და არასოდეს არ დამტყრო მისი ძალა. უკეთესია შენზე მალლა დაყენო მოპირდაპირე შენს აზრში და ნაკლების ძალის დაკარგვით სძლიო მას, ვინც შენზე დაბლა დააყენო და მეტა მსხვერპლი გასწიო. საჭიროა მომეგრებულთა ტენეაცია არ თანაუგრძნობდეს მოვრიშეთა ტენეაციას. ტენეაციას სამაგდროვე პირობებშიაც შეუძლია ბარიკადები საშიშ და დიდ მნიშვნელოვან საგერ იარაღათ ატკოს და გაადვილოს იერიშის მიტანა. ამას გარდა საჭიროა ვიცოდეთ, როგორ უნდა შევხედეთ თვითეულ მოწინააღმდეგეს: როგორ შეხედდეს ბარიკადა ქვევითა აჯანყებულთ, ცენზოსანს და არტილერიას.

ჩვენ ვეცდებით, რამდენიმეთ ვავარკვიოთ ეს კითხვები.

„ახლოდელ არტილერიას არ შეუძლია ისროლოს 200—300 საყენზე უფრო ახლოდან, რადგან კარტენსა და შრაპნელს მხოლოდ ამ სიშორიდან შეუძლია ტყვიებს საჭირო მსვლელობა მისცენ — თართოთ გაფანტონ. არც კარტენი და არც შრაპნელის ხალხის თავზემოდან მიმართვა არ შეიძლება. მაშასადამე, რაკი არტილერია გამოჩნდა, დრო არ უნდა დაჰკარგოთ, იმ წამსვე უნდა სროლით შეგებოთ, უნდა ისარგებლოთ არტილერიისათვის უხერხულ, ვაწრო ქუჩებში, მისი სიმძიმით და ძნელის მიხრა-მოხრით. უნდა დაასწოროთ მისი არეგარება, სანამ აგორებენ, მოაბრუნებენ და შესაფერათ დააყენებენ ზარბაზნებს. ამ რამდენსამე წამში უნდა გაჩაღდეს ხშირი, ერთობრივი, მაგრამ დამშვიდებული ცეცხლი ბარიკადებიდან. ამ სახით შეიძლება არტილერიის დამარცხება. რადგან შესაძლებელია მზა-მზარეული, გატენილი ზარბაზნები მოაწოდონ, ამიტომ დროს მოგება მეტათ ძვირფასია.

ამასთან ბარიკადა უთუოთ უნდა მიწისგან ან ქვიშისაგან გაეყოღეს, და არა ქვებისაგან, რადგან ქვას რომ ყუმბარა მოხედება, წვრლათ იმტრევა და





ეს ნამეტრევეები ბევრს ხალხს დაზიანებს. ახლო-მახლო მდებარე ქვეები უნდა მოამოროთ ამ ადგილს. ქვიშის შოვნა ადვილია, რადგან ქვა-ფენილი ქუჩებში ჩვეულებრივით ქვებს ქვეშედან ხუთ-ექვს ვერმოკვებ ქვიშა იყრება. პირველათ, სასურველია, დაჩოქილი სროლისათვის მაინც იყო დაფარული, ხოლო შემდეგ კი შეძლებისა და გვართ უნდა გაეკეთდეს ფებ-მდგომ სროლისათვის მესაფერი სინალოლის საფარი. მიწის გორაკის წინაგანი მხარე, რაც შეიძლება, მარჯვ უნდა იყოს. გორაკის სისქე უნდა ეცოდნოთ ერთ-ნახევარ—ორ არმინამდე იქნეს თავისაყენ. ცხენოსან ჯარის წინააღმდეგ საჭიროა ბარიკადის წინ ძოიანეს დამეტრეულა ითაფის შეშება და ქუჩის ერთი მხრიდანა ძეოვოდდე გააბათ მართულეები. შუშის ნამეტრევეები ცხენის ფეხებს უჭიის: აფაცრებში და კახაკებში გილიკებებს მესაკუთრის გონობა, რადგან იგინი საკუთარ ცხენებზე ხედნან.

„უფრო მოსახერხებელათ მიგვანია ჩვენ ბარიკადისათვის ვიწრო და მოკლე ქუჩები. ვიწრო ქუჩის ბარიკადით ვაკავება უფრო ადვილია. მოკლე და ვიწრო ქუჩა ძალიან მეუშლის ხელს ჯარს, მოკლებს საჭირო მიხრა-მოხრას. ცხენთან ჯარს—გასაქენებელი ალაგი არ ექნება; აორტურაას—მისატრილიტემო-მისატრილიტემული და ქვევითა ჯარსაკი მხოლოდ პატარა-პატაოა რახებათ შექმლბათ მოქედება. ბარიკადის გაკეთება, ჩვენის აზრით, ამ წესით უნდა მოხდეს: აიროთოთ მოახებებულ ქუჩაში მოკლე ალაგი, გააკეთოთ გელოვებუთათ ახლო-მახლო მუე-ქუჩები (პეტეულეები), ამ ადგილის მუეში აპოილოთ ფართო ოთხი და ამ ოთხის ორსავე მხრით შეგუნდლოთ მიწის გორაკები.

„ოთხი უნდა ასე მოითხოვოს: აპყროთ ქვეები და შეხილოთ ეზობებში, გაავსოთ მიწით ტომარი და დასდო თქვენ წიხ და აყაროთ მიწა მას. რაკ ასე პატარა გორაკს შეაკუნდავებთ, დაადეთ პირველ ტომარას მეორე ტომარა, ძეორეს მესამე და ასე, სანამ გორაკი სასურველ სიმაღლეს მიახვევებს (საფარი დაჩოქილი და ფებდგამა სროლისათვის). გორაკის ზედა თავი სისქით ეთა ნახევარ—ორ არმინამდე უნდა იქნას, რომ ის გაუშაკოდეს არტურის, ე. ი. რომ გრანატა ეთაჯერათ ვერ შეძლოს მისი გატანა. ასეთი ბარიკადა სრული სიმაღლა გამძლე პუნქტი იქნება. მე ვეჭვებ, რომ ჯაომა მისი აღება მოახერხოს, თუ, რასაკვირველია, ბარიკადის დამცველთ ყველა საჭირო მასალები უკლებლათ ექნებათ. რა ვუყოთ, რომ ჯარი უფრო გაჭრთვნილია, სამაგიეროთ იგინი მოკლებულნი იქნებიან უკუკლგვარ საფარს. ასეთი ბარიკადა მითთვის საშიშია. (ჟისკრა\* № 89).

ამას უნდა მიუშატოთ ის, რომ ბერიკადებით გაკრული ქუჩის შენობები აჯანყებულთა მხარეში იყოს, რომ მომავალ ჯარს სახლების სასურავიდან, ფანჯრებიდან და ბაღკონებიდან თოფი და ქუშბარები ესროლოთ. როცა ბარიკადა ვერ უძლებს ძტრის ტყვიას და საცაა უნდა დაინგრას, მობარიკადენი იმას თავს ანებებებს და მის უკან ამენესტულ თეოურ ბარიკადას ეფარებიან. გარდა ამისა, აჯანყებულთა შორის მუდმივი კავშირი უნდა იყოს, რომ ბებრძოლნი გაჭირვებულთ დროზე შეეგველონ.

მეტყვიან: ვინ დაკანტებს ბარიკადისის აშენებას, ჯარი მოგვისწორებს და გაგვრეცო. სინამდვილე სულ სხვას გვეუბნება. ყველა რევოლიუციებში თვით უშაკოეტი ბარიკადაც კი ორსამ საათში კეთდებოდა. როცა მთელი ქალაქი ფეხზე დგას, უკველან მუშაობა და საფარების აგებაა, მათ დასახტოეათ, ცხადია, ჯარი უნდა დანაწილდეს, წერილ რახებათ დაიყოს და ქუჩებზე დაიარგდეს. მაგრამ ასეთ წვილი ოახმებს აჯანყებულნი ადვილათ იბარჩილებებს და იარაღსაც არაშეკენ. ეს ჯარის დასუსტება, როგორც სიმლიერით, ისე დისციპლინით; დასაწილებულ და ქუჩებში ოამწკედელულ ჯარზე ხალხს ყუველთვის დიდა გავლენა აქვს. ამიტომ არც ერთი ქვეში მკოევი საოდალი აჯანყების დროს ჯაოს არ ახაყოლებს, პიოიკათ ის თავს უყრის, მოახებებულ ალაკაა აახაკს იყვანს და აქიდან იწყებს ხელს-ხელა ქალაქის დაპოეობის ვს, რასაკვირველია, ღვეოთ მიათხოვს, ომობა განამელობაში ქუჩები უშეე გაკრულია ბარიკადენით. ასე გისინჯეთ, მ იასკათა პეტერბუოგმა, როცა ჯარებიც ბევი იყო ქუჩაზე და იარაღიც არსად იყო, ბარიკადის გაკეთება ძინც მოახყოეს და ბრძოლაც გამაღეს.

ქუჩის ომის მთავარი მიზანია ჯარის მოშლა. და მითალაც, ჯარი პირველათ შედგრათ შეუტრეებს, შემდეგ ის ხელდება და ბოლოს, როცა ხელდას ომ ბრძოლა დიდ მახევაბლს ითხოვს,—ექვი ებარება მის საჭიროებაში და დეება მიმენტი თანი ვებრების. ერთი პოლკის გატეხაც კი საკპარისია, რომ სხვა პოლკები აიოიოს და ამათ გამხმევეტულნი რევიოლიუკონენონი გამარჯეებულნი გაიოვიდენ.

ამაიოთა, მუდმივი, შეუწეებელი რევიოლიუციური მუდღვარება და ტეხაიეუთათ მომხადება—თი აჯანყების აუცილებელი პიოობა. პირველი თავისთავათ ბადნეს აჯახყეას, ხოლო მეორე მას გამარჯეებას ანიტებს. და რადგანაც აჯანყების საქმე ბოლოს ისეე ჯარის ქვევაზე არის დამოკიდებული, ცხადია, სალდათებში ტეშაობა და მათი წინდაწინ მომბოობა—უეჭველი თავდება გამარჯეების.

### ქართველი ნაციონალისტები.

#### 2. ფედერაცია.

ქართველი ნაციონალისტები თავისი „ეროვნულ-ავტონომიით“ არ მკაყოფილებდნენ, საქართველოში ერთი ერის სხეებზე გაბატონებას და ნაციონალური შუღლის დაბადებას არ ეპარებნენ. ისინი უფრო შორს მიდიან, თავისი გულმტკივნეული მზრუნველობა კავკასიის სხვა კუთხეებზედაც გადააქვთ და თავის ეროვნულ პრინციპს კავკასიის ყველა ერთა ცხოვრებას საფუძვლათ უღებენ. „საქართველო ეკონომიურათ ვიწროთ არის გადაბმული დანარჩენ ამიერ-კავკასიასთან“, სწერენ ისინი, ამიტომ საქორაო საერთო პოლიტიკური ორგანიზაცია, საქორაო ფედერალიზმი, სადაც „თავდაპირველათ ამიერ-კავკასიის ერთი შევლენ“, ხოლო შემდეგ დანარჩენი კავკასიისაც. „საქართველოს ავტონომია, ისე როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილები, მაგალ. განჯა-ბაქა-ერევნისა, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქნება რთულ ფედერალისტურ წეს-წყობილების დამყარებისათვის“; და ასე კავკასიის „ავტონომიურათ შექმნილნი ერთი ერთმანერთს ხელს გაუწოდებენ კავშირს და სოლიდარობის ნიშნათ“ (იხ. „საქართველო“ № 4).

ამნაირათ, კავკასიის ყველა ხალხთა ეროვნული ავტონომია და შემდეგ ამათი ერთ ცენტრალურ სამართველოთი შეკავშირება, აი ჩვენი ნაციონალისტების დროა, აი მათი ფედერაცია. ახლა გავსინჯოთ, რას ნიშნავს ეს.


რას ნიშნავს ეროვნული ავტონომია, პირველ წერილში დავინახეთ. ეს არის ერთი ერის გაბატონება ავტონომიის საზღვრებში მყოფ სხვა ერებზე; ეს მუდმივი ნაციონალური შფოთის დაწყებაა. და აი, ასეთ ავტონომიას თავზე ახვევენ თათრებს, სომხებს, ლეკებს, ოსებს და სხ. მაგრამ ყველა ეს ერი ხომ ერთმანერთშია შერეული და ერთათ მოსახლეობენ? რანაირათ მოეწყოს მათთჳს საქართველოსებური ავტონომია? საღ რომელი ერთი რომელზე გაბატონდეს? ამის პასუხი მუხათ აქეთ ნაციონალისტებს, ეს პასუხია—უმრავლესობა. იქ, სადაც ერთი ერი რიცხვით სკარბობს მეორეს, ავტონომიაც მისი უნდა იყოს. განჯის გუბერნიაში თათრობა მეტია სომხობაზე, მაშასადამე აქ თათრული პარლამენტი იქნება, ერევნისაში სომხობა სკარბობს—აქ სომხური მთავრობა გამეფდება და ასე ბოლომდის. განჯაში თათრები შევაიწროვებენ სომხებს, ერევანში კი სომხები თათრებს, საქართველოში ქართველები ორივეს ერთათ, სამაგიეროთ უსენიც გადაუხდიან განჯა-ერევან-ბაქაში! ერთი სიტყვით, მურ-

ვანყრუს დრო მობრუნდება და საყოველთაო-ალი-აქოთი ატყდება.

როგორც ხედავთ, კავკასიის ფედერაცია—ეს ამ პატარა ქვეყნის ნაქერ-ნაქერ დაჩეხა, ერთა ერთიმეორიდან დაცალკეება და ერთმანერთზე ამხედრებაა. თფილისში იქნება ქართული მთავრობა, ქართული კანონი, ქართული პარლამენტი, ცოტა ქვემოთ, ორიოდ საათის სავალზე თათრული მთავრობა, თათრული კანონი, პარლამენტი, ცოტა კიდევ იქით სომხური, მაღლა ლეკური, დაბლა... აი, დიდი მოცული უნდა იყვენ ჩვენი რანდინაციონალისტები, რომ ყველა ამის ქვეყნის სასაცილოთ იგონებენ, სწერენ და სერიოზულათ გვარწმუნებენ: ვიბრძვიათ.

გვიხარნ ერთი ამ ოცნების რანდებმა, საღ, რომელ დროს ერთი შეკავშირებული ქვეყანა თავის ნებით დანაწილებულა, ცალ-ცალკე ავტონომიური სახელმწიფო დაუარსებიათ და შემდეგ ფედერატულიათ შეერთებულა? ყველა ფედერაცია, რომელიც კი ღღეს არსებობს, შემუშავდა სრულიად წინააღმდეგი გზით. შემუშავდა საუკუნოების განმავლობაში, ისტორიული პირობების ძალდატანებით. ამოუკიდებელი და, დაახლოვებით, თანასწორი სახელმწიფოები თუ პროვინციები ერთდებოდენ და აარსებდენ ფედერაციას. ეს არის მიდრეკილება ცენტრალიზმისაკენ, ერთათ თავის მოყრისაკენ და არა ცალ-ცალკე გაწევისაკენ. ასე განვითარდა შვეიცარია, ამერიკა, გერმანია და სხვა ფედერაციები. აქ ღღეს ყველა მოწინავე პარტია იღვწის ავტონომიათა ფარგლის შესავიწროებლათ, მათთვის რაც შეიძლება ნაკლები უფლების დასატოვებლათ და ცენტრალური მართველობის გასაძლიერებლათ. აქ ავტონომიზმის თავგამოდებული დამცველები არიან მხოლოდ კონსერვატორები (შვეიცარიაში, გერმანიაში და სხ.). ქართველი ნაციონალისტები კი ისტორიის ბორბალს უკან აბრუნებენ, ცხოვრებას თავის გემოზე სკრიან, სინამდვილეს ყურადღების ღირსათ არ ხდიან. ისინი რომ ნაციონალიზმით არ იყვენ დაქუდნილნი, ადვილათ დაციონავდენ კავკასიას ერთ მთელს, ეკონომიურათ, ერთა შერევით და მიმოსვლით გაერთიანებულს და მჭიდროთ დაკავშირებულს. საქორაო ისეთი წყობილება, რომელიც ამ ერთა შორის სრულ თანასწორობას გამოავდებს და თანხმობით აცხოვრებს. და აი, მაშინ წინ წამოდგება პარტო კლასიური განხეთქილება, პირველივე ნაციონალიზმისაგან გაქმნილი კლასთა ბრძოლა, სადაც ყველა ერის პროლეტარიატი ერთათ დადგება და ყველა ერის ბურჟუაზიაზე იერიშით მივა. ეს არის ჩვენი იდეალი. ამ იდეალის მიღწევა შეიძლება კავკასიის ერთი თვითმართველო-





ბით, სადაც შეიყრებინა ყველა ერის არჩეული პირები და თანხმობით შეიკრებოდნენ ისეთ შინაგან მართებლობას, რომ არც ერთი ერი არ დაიხაროს, განსაკუთრებით ენის მხრით. ამით ნიადაგი გამოეცლება ბურჟუაზიას თავისი ნაციონალური კულტურის დამკვიდრება გამოვიდეს და მუშები გადაიხაროს, ეწინააღმდეგეს კულტურა უმისიონათუ დაკუთვნიან. ენკა. კავკასიაში არც ერთი ერი არ არის რიცხვით იმდენი, რომ სხვები დაიხაროს. ამიტომ იძულებული იქნებიან ერთ თვითმართებლობაში თანხმობით იმუშაონ. ნაციონალისტები კი თავისი ეროვნული ავტონომიით და ფედერაციით ერთიანად ანგრევენ ამ იდეალს, იმათ მთელი ბოძოლა გადააქვთ ეროვნულ ნიადაგზე, კლასთა ბრძოლას ეროვნულთა აბნელებენ, მუშათა თანხმობას არღვევენ და მათ ბურჟუაზიას დიდთა აძლიერებენ და ასუქებენ. და რადგანაც მათ ავტონომიური და ფედერაციული პარლამენტებში შემამაჟუნენი და წვრილი ბურჟუები გაბატონდებიან, აშკარაა, ისინი აი ამ კლასების იდეოლოგებია, იდეოლოგები ერის ამ ყველაზე უფრო რეპრეზენტული ნაწილებს.


შოიკათ, შოიკათ, ჩვენ ხომ სოციალისტები ვართ, თან მოგვძახიან ნაციონალისტები. ერთი შეხედვით, საკვირველი უნდა იყოს ამათ სოციალისტობა, სოციალიზმისაკენ ხელის გაშვება. მაგრამ თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათ სოციალიზმი მხოლოდ დამატებაა მათი ნაციონალიზმის, ეს ნაციონალისტური სოციალიზმი და არავითარი კავშირი არ აქვს საერთაშორისო მეცნიერულ სოციალიზმთან. გავშინჯათ ეს მათი უკანასკნელი თავშესაფარი, სადაც გაქურების დროს თავის ნაციონალიზმს ხერხიანათ მალვენ.

### 3. სოციალიზმი.

მოგვხსენებათ, რომ ყოველს ისტორიულ ხანაში ერთი რომელიმე კლასი ბატონობს და ის აწყობს ყოველივეს თანხმობით მისი ინტერესებისა და შეხედულებებისა. საშუალო საუკუნოებში ასეთი კლასი იყო თავადნაწილობა, დღეს ბურჟუაზია. მაგრამ თავის მხრით ბურჟუაზიაც დაბადა თავისი მუსაფლავენი—პროლეტარიატი, რომელიც მოწოდებულია ბურჟუაზია დასცეს, მომავალ ხანას დაეპატრონოს და ყოველივე მოაწყოს თანხმობით თავისი ინტერესებისა და შეხედულებებისა. და რადგანაც ის ყველაზე უფრო დატანჯული და გაყვანილი კლასია, მისი ინტერესიც კაცობრიობის დიდი უმრავლესობის ინტერესია. ყველა შეუწყებელი და მაშვრალი მის დროშის ქვეშ დგება, მის შეხედულებას ითვინებს, მის მეთაურობას აღიარებს და ასე მისი წინამძღოლობით შედის სოციალიზმის სამეფოში. ასე-

თია მოძღვრება თანამედროვე სოციალიზმის, ეს პროლეტარული სოციალიზმი და მას მისდევს, სანერათშორისო პროლეტარიატი.

ჩვენი ნაციონალისტები, რომ მართლა სოციალისტები იყვენ, ამ პროლეტარული სოციალიზმის მომხრე იქნებიან. ნამდვილათ კი ისინი ამას თავგამოდებით ებრძვიან, მათი ორგანო „საქართველო“ ოფლის ღვრის მარქსიზმის, სოციალდემოკრატიის შესამუსრავათ და მის ალაგას ქადაგობს „მშრომელი ხალხის“ სოციალიზმს, „მშრომელი ხალხი დაუღალავათ იბრძვის“ სოციალიზმისათვის და ის განახორციელებს. ე. ი. სოციალიზმი მოძღვრება არა პროლეტარიატს, არამედ საზოგადოათ მშრომელი ხალხის. ვინ არის ეს მშრომელი ხალხი? რასაკვირველია ყველა ის, ვინც შრომობს: გლეხი, ხელოსანი, მეღებენი, მუშა, ინტელიგენტი, ნოკარი, წვრილი მრეწველი და სხ. და სხ. ყველა ესენი, ვარდა პროლეტარიატისა, შეადგენენ წვრილ ბურჟუაზიას. და აი, ჩვენი ნაციონალისტები გაიძახიან, სოციალიზმი ამ წვრილ ბურჟუაზიამ უნდა განახორციელოს. ამათ კი არ უნდა შეითვისონ პროლეტარიატის შეხედულება, მისი მეთაურობით და დიქტატორობით კი არ უნდა მოხდეს სოციალიზმის განხორციელება, პირაქით, ამათ პროლეტარიატი უნდა დამოარჩილოს მას და თავისი ბროლეტარული სოციალიზმი დავიწყოს. აი ნაციონალისტების „სოციალიზმი“. შეუძლია კი წვრილ ბურჟუაზიას სოციალიზმის განხორციელება, ე. ი. კერძო საკუთრების მოსპობა? კერძო საკუთრების მოსპობაში დაინტერესებულია ის კლასი, რომელიც მას მოკლებულია და არც ძალუმს შეიძინოს. ეს კლასია პროლეტარიატი. წვრილი ბურჟუაზია კი მესაკუთრეთა კლასია, მისი ცხოვრება ერთიანად კერძო საკუთრებაზეა აგებული; მაშასადამე მისი კლასიური ინტერესია ეს საკუთრება გააღადოს გამარავლოს და ასე თავისი წვრილბურჟუაზიული არსებობა გაამაგროს. გლეხი ცდილობს თავის ნაქვრ მიწას მეორე ნაქვრი შემოეღატოს, მეღებენი—თავისი დახლი ამოავსოს, ინტელიგენტი—კარგი ჯამაგირიანი ადგილი იშოვნოს, წვრილი მრეწველი—სხვალათ გადაიქცეს და სხ. მაგრამ ესენი, როგორც წვრილი შეძლების ხალხი, ვერ უძლებენ კაპიტალისტთა მეტოქეობას და ამიტომ ყოველივე სხელი წარმოების მტრათ გამოდიან. მათ სურთ კაპიტალიზმს არ დაანებონ თავისი ბუნებრივი განვითარება, ის შეიპოვონ, ვიწრო ჩარჩოში ჩააყვინონ, დაპატარაონ და ასე საყოველთაო დაწვრილმანება იდეალათ დასახონ. იმათ კაპიტალიზმი მოსწონთ, არ მოსწონთ მხოლოდ მისი მტრის მეტი განვითარება, ისინი ისტორიის წინ ეღობებიან,



წყალზე ფეხით ჩერდებიან. ეს სოციალიზმია, მარა სოციალიზმი წვრილი ბურჟუაზიული, „ერთ და იმავე დროს რეაქციონური და უტრაიური“, როგორც მარქსი უწოდებს. იქ, სადაც შეძლებული კაპიტალისტები უცხო ტომის წარმომადგენელია, წვრილი ბურჟუაზია მათ წინააღმდეგ ილაშქრებს, მოგვაშორეთ უცხოელები და ჩინებულათ ვიცხოვრებთ, აცხადებს ის. ყველა უკიდურესი ნაციონალისტური პარტია (ანტიემიგრები და სხ.) ამ კლასიდან იზადება. ამ შემთხვევაში წვრილი ბურჟუაზიული სოციალიზმი არის არა მარტო რეაქციონურ-აუტონომიური, არამედ ნაციონალისტურიც.

ახლა ადვილათ მისახვედრია ჩვენი ნაციონალისტების სულის კეთება, მათი „მშრომელი ხალხის“, წვრილი ბურჟუაზიის სოციალიზმი. სწორეთ ჩვენშია მრავალი უცხო ტომთა კაპიტალისტები, რომელნიც არ ანებებენ ქართულ წვრილ ბურჟუას გაღონიერებას და სხვილათ გახდომას. საჭიროა მისი განსაკუთრებითი მფარველობა. ხოლო ეს განსაკუთრებით უფლებას მოითხოვს. და, აი, ნაციონალისტებიც თხოვლობენ „ერთგულ აღტონობის“, ე. ი. საქართველოში ქართველი წვრილი ბურჟუაზიის ვაბატონებას, რითაც შესაძლებელი იქნება მემამულეებთან ერთათ უცხო კაპიტალისტების შევიწროება, ნაციონალური ბრძოლის ფართოთ დაწყება. ასეთ პირობებში ქართველი წვრილი ბურჟუაზია მართლაც გაძლიერდება; მისი ერთი ნაწილი სხვილ ბურჟუაზიათ გადაიქცევა და საქართველოს ბურჟუათ ვაბდება. ეს უქვეყლია. მაგრამ უქვეყლია აგრეთვე ისიც, რომ ყველა ეს ერთი მხრით ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას ხელაყენებულთ შეაჩერებს და უქანაც დასწყებს, კაპიტალიზმის ბუნებრივ მსვლელობას შეასუსტებს და მით ნივთიერ და პოლიტიკურ დაწვრილმანებას გაამეფებს; ხოლო მეორე მხრით პროლეტარიატს ამ ვიწრო უსიკოცლობაში სული შეეხუთება, სხვა ერთა მუშებს გამოშორდება, მისი კლასიური ბრძოლა მიუსუსტდება და მით თვითონაც დაქუცმაცდება და დაწვრილმანდება.

ერთი სიტყვით, ქართველი ნაციონალისტების ავტონომია, ფედერაცია და სოციალიზმი ნიშნავს პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ დაწვრილმანებას და ჩამოქვეითებას. ეს არის კაცასიის ნაქრებათ აკუწვა, თვითთულ ამ ნაქერში და ნაქერთა შორის ნაციონალური შუღლის დაქანსება, პროლეტარიატის წვრილ ბურჟუაზიაში გაღვსევა და მუშათა პარტიის ძირ ბუღიანათ შექუსვა. ეს მეტათ საშინაო ბიუთათა ჩვენი პარტიისათვის, ეს აკრძალვის უფედერალისტ-რეაქციონერთა პირველი დღი იერიშია, სოციალდემოკრატიაზე მოტანილი;

ისინი შეცადინებენ ჩვენი მოძრაობის საძირკვლის გამოგრევის, რომ ზედ ამწენებული კენტიანობის თავათ დაინგრეს.

ბრძოლა მაგათ, ბრძოლა სასტიკი და შეუჩერებელი!

მინასური მიმოსილება.

ერთბელ, ალექსანდრე ვასამის ძალმობრების დროს, რეაქციის მებაირალტრე მწვრალი კატკოვი რევოლიუციონერთა შესაშინებლათ ხშირათ სწერდა: მთავრობა მოდის, წამოდქითო! დაფრთხალი მცხოვრებნი მართლაც დგებოდენ. ახლა კი მთავრობა ძველებურათ ველარ მოდის და მას წამოდგომით კი არა წყველა-კრულუთ ვეგებებიან. მარა ის მაინც მეცადინეობს, ვინმე მაინც წამოაყენოს და თავისთვის „ერთგულება“ გამოაცხადებოს. და ამას ალაგალათ კიდევაც აღწევს ის, რევოლიუციური მოძრაობით იძულებული, გამოსცემს ხოლმე რაიმე „უქანს“ ამა თუ იმ სულის შემხუთავი კანონის გასაუქმებლათ და მაშინვე მისი აგენტები დაძრწიან ხალხში და ავიტაციას სწყევნ: აი, ხომ ზედვთ, რა გულკეთილი მთავრობა გვყავს, როგორ ზრუნავს ჩვენზე, გავუზზავნათ სამადლობელი ადრესითა. და გულღრმად ვიძინებთ ამ ბადემში თავის ნებით ვხევიან. გაზხებებში წაიკითხავდით, რომ რუსეთის სექტანტებმა, ამ მუღამ დევნულებმა და წამებულებმა, ნიკოლოზ მეორეს თავისი „ერთგულება“ გამოუცხადესო. და ვერ რატომ? იმიტომ რომ მათი დღენა მოსპოა და სარწმუნოების თავისუფლება მიანიქოა. აა ახირებულთ ვაუგებობა! განა ნიკოლოზმა მიანიქა, განა მთავრობა არის დღეს რეფორმატორი? სად იყო ის აქამდის, რატომ მუღამ ებრძოდა რეფორმას? დრო არ ქონდა თუ? ორასი წელიწადია სექტანტებს მთავრობა აწვადებს და ამ წვადების მოსპობა თავში არ მოსვლია. ახლა კი დიდოს ცერემონიით აცხადებს: მომიცია თავისუფლებაო. აი დიდი ტყუილი, მას არაფერი არ მოუცია და არც არასოდეს რამეს მოგვეცემს. სარწმუნოების თავისუფლება სექტანტებს და სხვა ქრისტიანებს მიანიქა არა ნიკოლოზმა, არამედ მუშებმა, მებრძოლ პროლეტარიატმა. ეს არის დღეს ყოველნაირი ცვლილების მომხდენი, მაღლიდანაც და ქვევიდანაც. მან გამოუთხარა ძირი თვითმპყრობელობას, ის ატანს მას ძალას, მისი ეშინია მთავრობას, თვარა, ეს რომ არ იყოს, მთავრობა აქაც იმას მოგვეცემდა, რაც წინათ ყოველთვის მოუცია: სატულაბს და კომპარს. მაშასადამე, რუსეთის სექტანტებმა სარწმუნოების თავისუფლებისათვის მაღლობა უნდა უთხრან არა ნიკოლოზს, არამედ მუშებს,





ისინი ამათ უნდა მიემხრონ და მისა წითელი დრო-  
შის ქვეშ მთავრობაზე იერიშით მივიდნენ. მაგრამ  
არც ეს ნაძალადევი რევოლუცია სრული და საყო-  
ველთაო. ის სრულიად არ აკანონებს სწინდისის თა-  
ვისუფლებას, ე. ი. ყოველგვარი სარწმუნოების მი-  
ღების თუ არ მიღების თავისუფლებას. ის ქრისტი-  
ანთ წინანდლათა უკრძალავს არა ქრისტიანულ სარ-  
წმუნოებაში გადავიდნენ ან სულ უსარწმუნოებოთ  
დარჩენ. და განა შეიძლება მთავრობამ, თუნდაც  
ხალხის ძალდატანებით, რაიმე სრული რევოლუცია შე-  
მოიღოს? ერთათ ერთ ხალხს შეუძლია მისცეს თა-  
ვის თავს რევოლუცია, რევოლუცია სრული, რადიკალ-  
ური და მკვიდრი.

და აი, მთავრობას სწორეთ ამის ეშინია და  
ცდილობს ძვირთ ხალხში მოიპოვოს მომხრეები და  
მით რევოლუციური მოძრაობა დაიწყოლოს, და-  
არღვიოს და თავისი ბატონობა შეინარჩუნოს. წი-  
ნეთ ის დაბლა სრულიად არ იხედვოდა, ხალხის  
აზრს და სურვილებს სრულიად არ უყურებდა მა-  
რა ახლა, როცა ხალხში ძალი აღმოჩნდა და მის წი-  
ნადღმდეგ ამხედლდა, ახლა მანაც გადმოხვდა მაღ-  
ლიდან ამ „თავადღებულ ბრბოს“, გადმოხვდა მას  
გასარყენლათ და გასათახსირებლათ. აქედან მომ-  
დინარგობს შერყეული ტახტის „ხულიგანური პო-  
ლიტიკა“. ქუჩის მანანწალათა და ქურდ-ბაძაცები-  
დან აღგნენ „შე რაზმებს“ და ისინი ტახტის ბურ-  
ჯათ გამოყავთ. ჩვენ, კავკასიელი, თავისუფალი  
ვიყავით აქამდის ამ ახალ მოდის ბურჯებისაგან, ამ  
წყალწადებულის ხაისისაგან. დღეს კი ეს ქირიკ  
გვემატება. ნიკოლოზ მეფის მოადგილე რის მო-  
ადგილე იქნებოდა, რომ თავის მომავლინებულის ბურ-  
ჯნი ჩვენშიც არ გამოენახა და მათი „უქვეყნო-  
დომილესი გრძობებით“ ნიკოლოზი არ გაეხარე-  
ბია. და მართლაც, მოვიდა ნამესტნიკი თუ არა—  
თავი წამოყო თფილისის ბნელმა ძალებმა და მას კალ-  
თაში თავი ჩაუღვეს, გვიპატრონეო. პოლიცია, ჯა-  
შუშები, ხულიგანები, ცენზორები, პატრიოტები,  
ენდარბები, ყველა ეს მძები შეერთდენ და კარგუ-  
ლი გავლენის დასაბრუნებლათ. ნამესტნიკის ჩამოს-  
ვლა—ეს რეაქციის დაწყებაა, ეს „შავი რაზმების“  
თარეშობაა. და თუ ჩვენ ახლავე, დაწყებისათანავე  
არ ავლაგმეთ ეს მათი თავებობა, თუ ნამესტნიკის  
ძალმომხრეობას ჩვენი რევოლუციური ძალა არ და-  
ვატაკეთ და ხულიგანთა ბაირალტარნი წიელში არ  
ვატებეთ, მერე გვიანი იქნება, ისინი გაძლიერდ-  
ებიან და ჩვენს მოძრაობას გადაეღობებიან. ეს სახი-  
ფათოა განსაკუთრებით ჩვენში, სადაც მრავალი  
ერები ერთათ ცხოვრობენ და თვითვე ასეთ მო-  
ვლენას შეუძლია ნაციონალური ხასიათი მიიღოს  
და ერთა ბრძოლა გამოიწვიოს. განა ამ ნიადაგზე

არ აღმოცენდა პატრიოტ-მეშაით მოძველებულ, მო-  
ლიციელები მათ აგონებენ, ქართველნი „საბრძოლ-  
სახელმწიფოს“ თხოულობენ, თქვენ აქედან ყველას  
გაგრეკნო და ისინიც აცხადებენ თავის „უქვეყნო-  
დომილეს გრძობებს“. აი რამდენათ საფრთხილოა  
ჩვენში ყოველნაირი ნაციონალური განკერძოების  
წამოყენება და ეროვნული დროშების აფრიალება.  
ქართველი ნაციონალისტები თავისთვის ითხო-  
ვენ უფლებებს, სომხები—თავისთვის, ასე ჰგონიათ  
ესენი ცალკალკე, ერთმანერთის და სხეულისაგან  
გამოყოფილათ ცხოვრობდენ და თავისი ეროვნული  
ტერიტორია შემოღებულნი ქონდეთ. ამათ ვერ შე-  
იგნეს, რომ კავკასიაში ყველა ერთ ხელი-ხელ ჩაკი-  
დებული უნდა ვიღოდენ, საერთო მოთხოვნილებებს  
თხოულობდეს და თანხმობით ცხოვრობდენ. ესენი  
თავის ეზოს მერს ვერას ხედავენ, თავის სვივის  
იქით არ იტყვიებიან და მით ამხადებენ ნიადაგს  
ნაციონალური შეუღლის და ბრძოლისას. ავიღოთ  
